# ᲡᲡᲘᲞ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 01-09-10 /99

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 11 08 2020წ.

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ" და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების, მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020 - 2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020 წლის 7 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება $10^{00}$-და $16^{00}$ საათამდე ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, სტუ–ს ადმინისტრაციული კორპუსი, ოთახი N 350);

2. სტუდენტთა შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ–ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანებმა მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 2020 წლის 18 სექტემბრისა;

5. 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველთა შესახებ ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2020 წლის 23 სექტემბერს;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი დავით გურგენიძე

*დანართი 1*

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
5. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. სტუ–ს ბუღალტერიიდან (ოთახი N 210) ცნობა გადახდის შესახებ

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ვიცე–რექტორი ________________ ლ. კლიმიაშვილი

## სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა შიდა მობილობა)

| ინფორმაცია სტუდენტის შესახებ: | |
|---|---|
| სახელი და გვარი: | |
| სტუდენტის პირადი ნომერი: | |
| განათლების საფეხური: | ❑ ბაკალავრიატი<br>❑ მაგისტრატურა |
| **ინფორმაცია გამომშვები ფაკულტეტის შესახებ:** | |
| გამომშვები ფაკულტეტის დასახელება: | |
| გამომშვებ ფაკულტეტზე გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |
| გამომშვებ ფაკულტეტზე სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი: | |
| **ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:** | |
| მიმღები ფაკულტეტის დასახელება: | |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |

**სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:**

| საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ | სასწავლო კურსის მოცულობა, | შეფასება | მიმღებ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით | სასწავლო კურსის მოცულობა, |
|---|---|---|---|---|

| გამომშვებ ფაკულტეტზე შესწავლილი საგნების ჩამონათვალი სემესტრების მიხედვით | ECTS კრედიტი | აკადემიური საათი | | საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | ECTS კრედიტი | აკადემიური საათი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | | | | | | |

| გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ: | |
|---|---|
| სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე შესწავლილი საგნების რაოდენობა: | |
| სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე დაგროვილი კრედიტების რაოდენობა: | |
| მათ შორის მიმღები ფაკულტეტის მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა: | |
| მათ შორის მიმღები ფაკულტეტის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა: | |

**დასკვნა:**

❑ რეკომენდებულია გადმოყვანა ❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდებული

**შენიშვნა**

______________________________________________

| ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა: | |
|---|---|

| ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი | | |
|---|---|---|
| № | საგნის დასახელება | ECTS კრედიტი |
| | | |
| | | |

სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:

სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

| | |
|---|---|
| თ.წერეთელი | ხელმოწერა |

ფაკულტეტის დეკანი:

| | |
|---|---|
| | ხელმოწერა |

ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: